საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1107 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „დეკასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 9 მარტს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „დეკასა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება, ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 9 მარტს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

2. შპს „დეკას“ დაუბრუნდეს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტია - 6,500.00 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული წინასამშენებლო საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი